



სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



**LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL  
EDUCATION AND SPORT**

01-36

28.03.2022

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტში კათედრის ხელმძღვანელების არჩევნების გამოცხადების  
შესახებ

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15  
ოქტომბრის N01/745 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-14 მუხლის მე-6  
პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 9 თებერვლის N1 ოქმით დამტკიცებული „კათედრის  
დებულების“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის, მწვრთლენლთა ფაკულტეტის საბჭოს N03/35  
მოხსენებითი ბარათის და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოს  
N 03/36 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს კათედრის ხელმძღვანელის პოზიციის დასაკავებელი არჩევნები 2022 წლის  
28 მარტიდან;
2. კათედრის ხელმძღვანელის პოზიციის დასაკავებლად მსურველების რეგისტრაცია  
იწარმოებს 28 მარტიდან 11 აპრილის ჩათვლით;
3. კონკურსი ჩატარდება კათედრის დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად;
4. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 18 აპრილისა;
5. დაევალოს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო  
უნივერსიტეტში საქმისწარმოების სამსახურს კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანების  
დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა;
6. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს  
ბრძანების საიტზე განთავსება;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი,  
პროფესორი



ჯემალ მაგანია